



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 505/ს  
07/12/2022

505-21-4-202212071556



### ქ. რუსთავში შპს „ელბა ექსპორტის“ კირის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „ელბა ექსპორტის“ (ს/ნ 405247834) მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. რუსთავში კირის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდსა და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

2009 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ქ. რუსთავში, სს „ქართული ფოლადის“ კირის წარმოებაზე გაცემულ იქნა №90 (25.09.2009) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც 2012 წელს, ერთობლივი განცხადების საფუძველზე გადაეცა შპს „რუსთავის ფოლადს“. კირის წარმოებაზე შპს „რუსთავის ფოლადს“ მიღებული აქვს №2-896 (16.09.2019) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. 2019 წლის 18 ოქტომბერს, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თობაზე, სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „რუსთავის ფოლადისა“ და შპს „ელბა ექსპორტის“ უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე, 2019 წლის 30 ოქტომბერს გაიცა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N 2-1043 ბრძანება, რომლითაც შპს „რუსთავის ფოლადის“ კირის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „ელბა ექსპორტს“. ამავე ბრძანებით შპს „ელბა ექსპორტს“ დაევალა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 16 სექტემბრის №2-896 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა.

2021 წლის 19 ოქტომბერს შპს „ელბა ექსპორტის“ მიერ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, სამინისტროში წარმოდგენილი იყო ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიში, რაზეც, სამინისტროს მიერ, სკოპინგის პროცედურის შედეგად, განსაზღვრულ იქნა გზშ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებები (სკოპინგის დასკვნა №68 (17.01.2022)). წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

2009 წლის N90 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შპს „ელბა ექსპორტის“ საწარმოს ტერიტორიაზე არსებული თითოეული შახტური ღუმელის წარმადობა შეადგენდა 40 ტონას დღე-ღამეში. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „ელბა ექსპორტის“ მიერ უკვე განხორციელდა ტექნოლოგიური ცვლილებები, მათ შორის გაიზარდა შახტური ღუმელების წარმადობა. არსებული მდგომარეობით, საწარმოში უწყვეტი ციკლით, პარალელურ რეჟიმში ფუნქციონირებს ორი შახტური ღუმელი და თითოეული მათგანის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა დღე-ღამეში შეადგენს 70 ტონას, ხოლო მაქსიმალური დატვირთვის პირობებში წარმადობის გაზრდა შესაძლებელია 80 ტონამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს წლიური წარმადობა 26800 ტონის ნაცვლად, გაიზარდა 58400 ტონამდე. ასევე, დაფუძვლილი კირის წარმოების მიზნით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა და ექსპლუატაციაში შევიდა 15 ტ/სთ წარმადობის ქვაკირის საფუძვავი წისქვილი.

შპს „ელბა ექსპორტის“ მიერ უნებართვოდ/შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელებული ტექნოლოგიური ცვლილებების შესახებ შემდგომი რეაგირების მიზნით ეცნობა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, 2022 წლის 12 ოქტომბერს შპს „ელბა ექსპორტის“ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №072902 ოქმი.

დოკუმენტის თანახმად, კირის საწარმოს წარმადობის გაზრდა გამოიწვია შპს „რუსთავის ფოლადის“ საწარმოში კირის მოხმარების გაზრდის საჭიროებამ, რომელიც შპს „ელბა ექსპორტის“ პროდუქციის ძირითადი მომხმარებელია. გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ წარმადობის გაზრდა გათვალისწინებულია საწარმოო პროცესის ოპტიმიზაციის ხარჯზე და ახალი ტერიტორიების ათვისება, ან რაიმე სახის ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა და მასთან დაკავშირებული სამშენებლო/მიწის სამუშაოები დაგეგმილი არ არის.

გზმ-ის ანგარიშში განხილულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივები, მათ შორის არაქმედებისა და ტექნოლოგიური ალტერნატივები და აღნიშნულია, რომ ვინაიდან დაგეგმილია არსებული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, ხოლო კირის საწარმოს უკვე გააჩნია წარმადობის გაზრდისთვის საჭირო ფართობი და ინფრასტრუქტურა, ადგილმდებარეობის ალტერნატივების განხილვა მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული. დოკუმენტის მიხედვით, საწარმოს წარმადობის ზრდა ხელს შეუწყობს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ნედლეულით უზრუნველყოფას, აგრეთვე შესაძლებელი იქნება კირის რეალიზაცია სხვა მომხმარებლებზე, რაც დადებით სოციო-ეკონომიკურ ეფექტთან იქნება დაკავშირებული.

კირის წარმოების ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან გზმ-ის ანგარიშში განხილულია შახტური ან მბრუნავი ღუმელების გამოყენება. დოკუმენტის თანახმად, საწარმოში კირის წარმოება ხდება ორი შახტური ღუმელის გამოყენებით და წარმოებული პროდუქციის რაოდენობის გაზრდის მიზნით განიხილებოდა დამატებით არსებული მბრუნავი ღუმელის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ არსებული ღუმელების საწარმოო პროცესის ოპტიმიზაციის შედეგად შესაძლებელი გახდა მათი საპროექტო წარმადობით ექსპლუატაცია, ახალი ღუმელის მოწყობა და შესაბამისად ატმოსფერულ ჰაერში ემისიების დამატებითი წყაროს შექმნა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად.

შპს „ელბა ექსპორტის“ კირის საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავში, გაგარინის ქ. N12-ში, შპს „რუსთავის ფოლადის“ მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიაზე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 02.07.04.764). კირის საწარმოს ექსპლუატაციას შპს „ელბა ექსპორტი“ ახორციელებს შპს „რუსთავის ფოლადთან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 845 მეტრით, ხოლო ობიექტის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 530 მეტრში განთავსებულია სასჯელაღსრულების N16 დაწესებულება.

შპს „რუსთავის ფოლადის“ ტერიტორიაზე არსებული ობიექტებიდან საწარმოსთან ყველაზე ახლოს, 430 მეტრში, განთავსებულია ჯართის დამუშავების უბანი. ფოლადსადნობი საამქრო ობიექტიდან დაშორებულია 1200 მეტრით, მილსაგლინავი საამქრო 1650 მეტრით, ხოლო ჩამოსასხმელი საამქრო - 1680 მეტრით. აგრეთვე, ობიექტიდან დაახლოებით 850 მეტრში ფუნქციონირებს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმო.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, შპს „ელბა ექსპორტის“ საქმიანობა წარმოადგენს შახტური ღუმელების მეშვეობით კირქვის გამოწვას და კირის წარმოებას. საწარმოში განთავსებულია ორი ერთეული შახტური ღუმელი, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად, უწყვეტი ციკლით ფუნქციონირებს. თითოეული ღუმელის წარმადობა შეადგენს 70 ტ/დღლ-ს.

შპს „ელბა ექსპორტის“ კირის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ითვალისწინებს არსებული შახტური ღუმელების რეაბილიტაციის სამუშაოებსა და კირის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციას, რის შემდგომაც შესაძლებელია ღუმელების საპროექტო წარმადობით ამოქმედება. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, თითოეული ღუმელის საპროექტო წარმადობა შეადგენს 80 ტ/დღლ-ს.

გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ოპტიმიზაციის სამუშაოები კომპანიის მიერ უკვე განხორციელდა და მოიცვა შემდეგი ღონისძიებები: კირის გამოსაწვავი ღუმელებიდან ნამწვი აირების გაწოვის გაუმჯობესების მიზნით, გაიზარდა გაწოვის სიმძლავრეები და თითოეული ღუმელის გამწვავ სისტემაზე დამონტაჟდა 50000 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის DH-18 ტიპის სავენტრილაციო დანადგარი; ღუმელების გაზის სანათურებზე დამონტაჟდა ინდივიდუალური ხარჯმზომები; პერიფერიულ სანათურებზე დამონტაჟდა წნევის მანომეტრები, რაც წვის პროცესის მართვის მიზნით იძლევა წნევის რეგულირების შესაძლებლობას; მტვერდამჭერ ციკლონებზე და აირსატარ მაგისტრალზე შეკეთდა კოროზიული მონაკვეთები; დაფქვილი კირის სასაწყობე ბუნკერების შენობაში დამონტაჟდა ნაჭრის სახელოიანი ფილტრები. აგრეთვე, დოკუმენტის თანახმად, ტერიტორიაზე მტვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, საწარმოს შიდა გზები დღეში 2-ჯერ ირწყვება ტექნიკური წყლით, ხოლო გამოსაწვავ ღუმელებში მისაწოდებელი კაზმის მომზადების უბანზე ამტვერების რისკის შემცირების მიზნით მოეწყო ნედლეულის წყლით დასველების სისტემა. აგრეთვე, საწარმოში, ასორტიმენტის გაზრდის მიზნით, ამოქმედდა საწარმოს ტერიტორიაზე არსებული 15 ტ/სთ წარმადობის საფქვავი წისქვილი და შესაძლებელი გახდა როგორც ქვაკირის, ისე დაფქვილი კირის წარმოება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს საჭირო ნედლეულით მომარაგება ხორციელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული კარიერიდან, თვითმცლელების საშუალებით. ნედლეულის მსხვრევა-დახარისხება ხორციელდება კარიერზევე და საწარმოში კირქვა შედის 20-80 მმ ფრაქციების სახით. ნედლეულის დასაწყობება ხდება საწარმოს საკაზმე განყოფილებაში, რომელიც განთავსებულია გამოსაწვავი ღუმელების

უშუალო სიახლოვეს და წარმოადგენს ბეტონის კედლებისა და ძირის მქონე ჩაღრმავებულ სივრცეს. მზა პროდუქციის შესანახად ქვაკირისთვის გამოიყენება სპეციალური ბუნკერი, ხოლო დაფქვილი კირი განთავსდება სასაწყობე შენობაში არსებულ ბუნკერებში.

ღუმელებში კირქვის ჩატვირთვა წარმოებს ძელური დონესაზომის სიგნალის მიხედვით, რომლის დახმარებითაც ჩაიტვირთება ლენტური კონვეიერი (ე. წ. ღარული მკვებავი) და იწყება სკიპური ამწის ციხვის და სასწორის დოზატორის შევსება. კირქვით შევსებული სკიპის აწევა ღუმელის ჩასატვირთ მოწყობილობამდე ხდება ელექტროჯალამბარის გამოყენებით. ღუმელის ჩასატვირთი მოწყობილობა შედგება ღარის, მბრუნავი ძაბრიანი ფიალისა და ჩამტვირთავი კონუსისგან. სკიპით მიწოდებული კირქვა თავსდება ღარზე და გადადის მბრუნავ ფიალაში, საიდანაც იტვირთება ღუმელში, რომელშიც მიმდინარეობს კირის გამოწვის პროცესი. ტექნოლოგიური პროცესის უზრუნველყოფისა და ნამწვი აირების გაწმენდის მიზნით, შახტური ღუმელები აღჭურვილია D-10 ტიპის კვამლგამწოვი ЦН-15, Ф-750 ციკლონებით, რომლის წარმადობაა 50 000 მ<sup>3</sup>/სთ, ელექტროძრავა АО-82-132 კვტ. სიმძლავრით. კვამლგამწოვი როტორის დასაშვები ტემპერატურაა 250-300 0C. მტვერდამჭერი სისტემის საპროექტო ეფექტურობა შეადგენს 90%-ს. კირქვის გამოწვისას 1150-1200<sup>0</sup>C-ზე, ნახშირორჟანგის მოცილების გამო კირქვის ნაჭრების წონა მცირდება 40%-ით, ხოლო მოცულობა მცირდება 10-15%-ით, რაც განსაზღვრავს კირის მაღალფორიანობას და რეაქციაუნარიანობას.

შახტურ ღუმელებში კირის გამოწვა ხდება ბუნებრივი აირის გამოყენებით, ერთ ღუმელზე ბუნებრივი აირის საშუალო ხარჯი შეადგენს 350-400 მ<sup>3</sup>/სთ-ს, ხოლო საპროექტო მაქსიმალური ხარჯი შეადგენს 500 მ<sup>3</sup>/სთ-ს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, კირის შახტურ ღუმელში გამოწვა შესაძლებელია როგორც ბუნებრივი აირით, ასევე ანტრაციტით, რომლის გამოყენებაც გათვალისწინებულია ფორსმაჟორულ სიტუაციებში, ბუნებრივი აირის მოწოდების შეწყვეტის შემთხვევაში.

გამოწვის პროცესის დასრულების შემდეგ, ღუმელიდან კირის გადმოტვირთვა ხდება სპეციალური მოწყობილობის დახმარებით. გამომწვარი კირის ნაწილი გადაიტვირთება რეალიზაციის უბანზე არსებულ სილოსში, საიდანაც ქვაკირის გაცემა ხდება ავტომატური ძარაზე ჩამოტვირთვის გზით. ხოლო შედარებით დიდი ზომის ფრაქციები გადადის კირის საფქვავი წისქვილის ბუნკერში.

როგორც აღინიშნა, დაფქვილი კირის წარმოების მიზნით, საწარმოში ექსპლუატაციაში შევიდა ბურთულებიანი წისქვილი (15 ტ/სთ-ს). წისქვილი განთავსებულია ცალკე მდგომ საწარმოო შენობაში. წისქვილის ბუნკერში ქვაკირის დასაფქვავად მიწოდება ხდება ლენტური კონვეიერის საშუალებით, ხოლო წისქვილის მუშაობის დროს წარმოქმნილი აირმტვერნარევის გაწმენდის მიზნით ობიექტზე დამონტაჟებულია ორი ციკლონი. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ციკლონებში გაწმენდილი ჰაერის საბოლოო გაწმენდა ხდება ერთსექციანი, 95% ეფექტურობის მქონე, 48 სახელოსგან შემდგარი სახელოებიანი ფილტრის საშუალებით.

წისქვილიდან დაფქვილი კირი პნევმოტრანსპორტიორის საშუალებით გადადის სილოსებში და მიეწოდება კირის გასაცემ უბანს, სადაც მოწყობილია კირის შესანახი 3 ერთეული სილოსი, თითოეული 80-100 ტ ტევადობით. პროდუქციის გაცემა ხდება ავტოტრანსპორტის გამოყენებით, თუმცა, გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სარკინიგზო ტრანსპორტის გამოყენებაც. საწარმოს დანადგარ-მოწყობილობის ტექნიკური მომსახურების მიზნით ობიექტზე ფუნქციონირებს

მექანიკური საამქრო, შედუღების უბანი და სხვა. საწარმო ფუნქციონირებს წელიწადში 365 დღე, 24-საათიანი რეჟიმით. ობიექტზე დასაქმებულია 60 ადამიანი.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად საწარმოში წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო, ხანძარსაწინააღმდეგო და ტექნიკური მიზნებისთვის. ობიექტის წყლით მომარაგება ხორციელდება შპს „რუსთავის ფოლადის“ წყალმომარაგების ქსელიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოში გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა დღე-ღამეში შეადგენს დაახლოებით - 2,7 მ<sup>3</sup>-ს.

ტექნიკური მიზნებისთვის წყალი გამოიყენება ნედლეულის დასანამად და შეადგენს დღე-ღამეში დაახლოებით - 1მ<sup>3</sup>-ს. ასევე, წყლის გამოყენება ხდება გაზის სანათურების და კომპრესორის გამაგრილებელ ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში. გაზის სანათურების გამაგრილებელი სისტემის ტევადობა შეადგენს 300 მ<sup>3</sup>-ს, ხოლო წყლის დანაკარგის შევსებისათვის თვის განმავლობაში დამატებით იხარჯება 50 მ<sup>3</sup> წყალი. კომპრესორის გამაგრილებელი სისტემისათვის საჭირო წყლის ხარჯი თვის განმავლობაში შეადგენს - 50 მ<sup>3</sup>-ს.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოს ტერიტორიაზე საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა არ ხდება. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლებს, წლის განმავლობაში წარმოიქმნება 820,8 მ<sup>3</sup>-მდე მოცულობის ჩამდინარე წყლები, რაც ჩაედინება მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ შიდა საკანალიზაციო ქსელში და შემდგომ ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების პოტენციურად დამაბინძურებელი ყველა წყარო განთავსებულია დახურულ სივრცეში, შესაბამისად არც დაბინძურებული სანიაღვრე წყლების წარმოქმნას ექნება ადგილი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად არ არსებობს ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ხოლო მცენარეული საფარი წარმოდგენილია მხოლოდ ხელოვნურად გაშენებული კულტურული და დეკორატიული მცენარეების სახით. ამასთან, მაღალი ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, ობიექტის ტერიტორია ცხოველთა ველური ბუნების სახეობებისთვის საბინადროდ არახელსაყრელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება სამშენებლო ან სარეაბილიტაციო სამუშაოებს არ ითვალისწინებს, ბიომრავალფეროვნებასა და ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება.

კირის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. დოკუმენტის თანახმად, უშუალოდ კირის წარმოების პროცესი ხორციელდება უნარჩენოდ და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებიდან ნაწილი გამოიყენება ხელმეორედ ან ბრუნდება საწარმოო ციკლში. სახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება გათვალისწინებულია სეპარირებულად, სათანადოდ მარკირებული კონტეინერებით. სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილი იქნება მუნიციპალური სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ლითონის ნარჩენები გადაეცემა შპს „რუსთავის ფოლადს“.

დოკუმენტაციაში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები.

ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: რკინის ოქსიდი, მანგანუმი და მისი ნაერთები, აზოტის დიოქსიდი, აზოტის (II) ოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი, აირადი ფტორიდები, სუსტად ხსნადი ფტორიდები, შეწონილი ნაწილაკები, არაორგანული მტვერი და აბრაზიული მტვერი.

ფონის სახით აღებულია შპს „რუსთავის ფოლადი“-ს მთლიანი მეტალურგიული საწარმოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის წყაროები.

გაზნევის ანგარიშის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მიმდებარე ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის ხარისხი როგორც საწარმოს განთავსების 500 მ-ნი რადიუსის ზოლში, აგრეთვე უახლოესი დასახლებული ობიექტის მიმართ (დაშორება 845 მ) არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს. ამდენად საწარმოს ფუნქციონირება არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის მნიშვნელოვან გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

გზშ-ის ანგარიშში განხილულია საწარმოს ფუნქციონირებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის, ხმაურის, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების კუთხით. დოკუმენტის თანახმად, კირის საწარმოს მიმდებარე 500 მ-იანი ნორმირებული ზონის ფარგლებში ფუნქციონირებს მეტალურგიული ქარხნის მხოლოდ საურნალე საამქრო, ხოლო სხვა საამქროები და ტერიტორიის გარეთ არსებული საწარმოო ობიექტები განლაგებულია 500 მ-იანი ზონის გარეთ. კუმულაციური ზემოქმედების რისკი შეფასებული იქნა მეტალურგიული ქარხნის გაფრქვევის ყველა წყაროს ერთდროულად ფუნქციონირების შემთხვევისთვის. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების რისკების მინიმუმაციის მიზნით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საწარმოში მიმდინარეობს უწყვეტი მონიტორინგის სისტემის მონტაჟი და ზენორმატიული გაფრქვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მოხდება საწარმოში ტექნოლოგიური პროცესის შეჩერება, შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარების მიზნით.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის წარმოქმნა მოსალოდნელია საწარმოს დანადგარებიდან და ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის გადაადგილებით. დოკუმენტის მიხედვით, მოსალოდნელი ხმაურის შეფასება განხორციელდა ყველა დანადგარისა და სატრანსპორტო საშუალების გათვალისწინებით და გაანგარიშების შედეგად დადგინდა, რომ ხმაურის გავრცელების მაქსიმალური დონე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან 31 დბა-ს შეადგენს. აგრეთვე, გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ვინაიდან საწარმოს და მეტალურგიული ქარხნის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებობს ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერები (შენობა-ნაგებობები, ხე მცენარეები), ხმაურის გავრცელების დონე შემცირდება დაახლოებით 10-15 დბა-თი და საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ხმაურის გავრცელების დონე არ გადააჭარბებს კანონით დადგენილ ნორმებს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნედლეულის ტრანსპორტირებისათვის დღის განმავლობაში გათვალისწინებულია მაქსიმუმ 15 სატრანსპორტო ოპერაცია, ხოლო, ვინაიდან კირის

საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის ძირითადი მომხმარებელია რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, საწარმოში წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი რაოდენობის საავტომობილო გზებით ტრანსპორტირების საჭიროება არ იქნება და რეალიზაციისათვის საჭირო სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა დღის განმავლობაში არ იქნება 3 ოპერაციაზე მეტი. შესაბამისად, სატრანსპორტო ნაკადებზე, მათ შორის, კუმულაციური ზემოქმედების კუთხით, მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდზე და ვებგვერდზე. ასევე, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით, ხოლო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ, განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. განცხადება ასევე გამოქვეყნდა გაზეთ „რეზონანსში“.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, 2022 წლის 23 სექტემბერს ქ. რუსთავის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში გაიმართა აღნიშნული პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის, შპს „ელბა ექსპორტის“, საკონსულტაციო ორგანიზაციის შპს „გამა კონსალტინგი“ და სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წარმომადგენლები. საჯარო განხილვის სხდომის მსვლელობისას, პროექტთან დაკავშირებით კითხვები დასვეს და შენიშვნები/მოსაზრებები გამოთქვეს სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე დასმული შეკითხვები ეხებოდა საწარმოს მიერ თვითმონიტორინგის სისტემაში ჩართვის, საწარმოს მიმდინარე წარმადობის, ფილტრების, აგრეთვე საპროექტო ტერიტორიაზე არსებული კირის დასაფქვავი წისქვილისა და ნედლეულის განთავსების საკითხებს. აგრეთვე საჯარო განხილვაზე კითხვები დაისვა საწარმოში გამოყენებული საწვავის სახეობთან დაკავშირებით. დასმულ კითხვებს პასუხი გასცეს საკონსულტაციო კომპანიისა და საწარმოს წარმომადგენლებმა. მათ განმარტეს, რომ საწარმოში წარმადობის გაზრდა დაიწყო 2020 წლიდან, ხოლო უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემის მონტაჟის შეფერხება განაპირობა სისტემის დაგვიანებით ჩამოსვლამ და სამუშაოების დასრულება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ოქტომბერში. აგრეთვე, კონსულტანტმა განმარტა, რომ ღუმელებზე სახელოიანი ფილტრები დაყენებული არ არის, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ღუმელებში ქსოვილის ფილტრებისთვის მაღალი ტემპერატურაა, თუმცა წისქვილში, სადაც ჩვეულებრივი ტემპერატურაა, ქსოვილიანი ფილტრი დაყენებულია. დამსწრე საზოგადოება ასევე დაინტერესდა გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული კირის დაფქვავი წისქვილი წარმომადგენდა არსებულ წისქვილს თუ პროექტის ფარგლებში მოხდა მისი მოწყობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ კირის დასაფქვავად განკუთვნილი წისქვილი შპს „რუსთავის ფოლადის“ ტერიტორიაზე მოწყობილი იყო ცემენტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ფარგლებში, თუმცა შპს „ელბა ექსპორტის“ მიერ შპს „რუსთავის ფოლადთან“, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ გადაწყდა რომ წისქვილი გამოყენებული იქნებოდა კირის დაფქვის მიზნით. სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წარმომადგენელი აგრეთვე დაინტერესდა საწარმოში საწვავის სახით ანტრაციტის გამოყენების საკითხით. აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი

გაკეთა კონსულტანტმა და განმარტა, რომ საწარმოში ანტრაციტი გამოყენებული იქნება მხოლოდ გამოუვალ, გაზის მიწოდების შეფერხების შემთხვევაში. (საჯარო განხილვაზე დასმული საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია საჯარო განხილვის ოქმში). გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დასრულების შემდგომ, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოში სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ წარმოდგენილი იქნა პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები/კომენტარები, რომლებიც ეხებოდა საწარმოს წყალმომარაგების, ქვაკირის საფუძვავი წისქვილის, უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემასა და ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის არსებული მდგომარეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. აღნიშნულ შენიშვნებთან/მოსაზრებებთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტებები თან ერთვის გადაწყვეტილებას, ცხრილის სახით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და დასკვნები და რეკომენდაციები.

**გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის საფუძველზე,**

### **გ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. რუსთავში შპს „ელბა ექსპორტის“ კირის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ელბა ექსპორტმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „ელბა ექსპორტმა“ თვითმონიტორინგის მიზნით უზრუნველყოს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი განსაზღვრა ინსტრუმენტული მეთოდით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად;
5. შპს „ელბა ექსპორტმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
6. შპს „ელბა ექსპორტმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის განხორციელება გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი მონიტორინგის



გეგმის შესაბამისად (საანგარიშო მეთოდი და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გაზომვები) და ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა;

7. შპს „ელბა ექსპორტმა“ ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
8. შპს „ელბა ექსპორტმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
9. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ელბა ექსპორტს“;
10. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ელბა ექსპორტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
11. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. რუსთავის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო